

ნავთობის როლი სახელმწიფოს ეთნო-პოლიტიკაში,
Case Study ნიგერია

ბესო შენგელია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად.

მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტი/ საერთაშორისო ურთიერთობები

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნინო ფავლენიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს ხსვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ბესო შენგელია. 26.06. 2017

სარჩევი

აბსტრაქტი	1
1.შესავალი - საკითხის აქტუალობა	3
1.1 თემის მიზანი,კითხვა,ჰიპოტეზა	6
2. მეთოდოლოგია	7
3. თეორიული მსჯელობა	8
4.ნავთობის როლი სახელმწიფოს ეთნო-პოლიტიკაში; Case Study - ნიგერია	10
4.1 ნიგერიის ეთნიკური კომპოზიცია.....	10
4.2ნიგერიის სახელმწიფოს ეთნო-პოლიტიკა.....	13
4.3 ნიგერიის ბუნებრივი რესურსების აღწერა.....	15
4.4 ნიგერიის ნაციონალიზმი.....	16
4.5 ნიგერ-დელტაში კონფლიქტის ინიცირების და მიმდინარეობის ისტორია.....	18
4.6 ნავთობკომპანიების მოღვაწეობა ნიგერიაში	22
4.7 ნიგერიის სახელმწიფოებრივი პოლიტიკა	27
5. კვლევის ანალიზი - სახელმწიფოს დამოკიდებულება ბუნებრივ რესურსებზე.....	36
დასკვნა.....	43
ბიბლიოგრაფია	44

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში მოცემული თემის კვლევის მიზანი არის აჩვენოს თუ რატომ ხდება, რომ ბუნებრივი რესურსებით, ნავთობით მდიდარი სახელმწიფოების ეკონომიკა არის უფრო ნაკლებად განვითარებული, ვიდრე რესურსების არ მქონე ქვეყნების. ზოგიერთ ქვეყანაში ბუნებრივი რესურსების სიმდიდრემ შექმნა იმის წინაპირობა, რომ სახელმწიფო იყოს განვითარებული და ეკონომიკურად გაძლიერებული, თუმცა სხვა მრავალ ქვეყანაში სადაც მოიპოვება ბუნებრივი რესურსები არის სიღარიბე, დაპირისპირება სხვადასხვა ჯგუფებს შორის.

ნაშრომში გამოყენებული იყო თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგია, ხოლო ძირითად მეთოდად შემთხვევების შესწავლის (With-in Case Study)-ის ტექნიკა. ქეისად აღებულია ნიგერია, ნიგერ დელტას რეგიონი, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ბუნებრივი რესურსებით მდიდარია, მუდმივად ხდება არეულობა და დაპირისპირება, სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის. იმის ნაცვლად, რომ ქვეყანა იყოს განვითარებული, დემოკრატიული და ეკონომიკურად ძლიერი, რესურსებიდან მიღებული შემოსავლების არასწორად განაწილების, სიხარბისა და ცუდი მმართველობის გამო ის ვერ ახერხებს ეფექტურ ეკონომიკურ განვითარებას.

კვლევის შედეგად გამოჩნდა, რომ ბუნებრივი რესურსებისგან გამოწვეული „წყევლა“ შედეგია იმისა, რომ რესურსების კონტროლის მოპოვების მიზნით ხდება დაპირისპირება სხვადასხვა ჯგუფებს, სახელმწიფოსა და ტრანსნაციონალურ კომპანიებს შორის. კონფლიქტის მთავარი მიზეზი მდგომარეობს ნაციონალურ პოლიტიკურ სისტემაში, რომელიც, ერთის მხრივ დასუსტებულია მსხვილმასშტაბიანი კორუფციით, და მეორეს მხრივ სახელმწიფოს არასწორი მიდგომით კონფლიქტის მოგვარებაში.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ბუნებრივი რესურსები, ნავთობი, ეთნიკური კონფლიქტი, კორუფცია, ნიგერ დელტა, დემოკრატიული განვითარება.

ABSTRACT

The research purpose of the thesis of the given study is to show why the economy of oil-rich counties are less developed than the economy of countries without oil resources. In some countries, the availability of the wealth of natural resources has provided the preconditions for the state to be developed and economically be strong, while in many other countries with significant natural resources there are poverty and conflicts among various groups.

In terms of methodology the study is of qualitative research and employs Case Study as a main methodological approach. We have taken the case of Nigeria, the region of Niger Delta which notwithstanding the fact that is rich in natural resources, has permanent disturbances and conflicts among various ethnic groups. Instead of being a developed, democratic and economically strong country, because of the unfair distribution of revenues, the greed and/or grievance, and bad governance, Nigeria is one of the less developed countries in the world. As an outcome of the research we have found that the curse of the natural resources is the result of the struggle for accessibility of the resource among various groups, the state and TNCs. The main reason of the conflict is the national ethnic political system loaded with large-scale corruption combined with ineffective techniques applied for the resolution of the conflicts.

Key words: Natural resources, Oil, Niger Delta, corruption, democratic development, ethnic conflict.